

ქ. თბილისი

02 ივნისი 2020 წელი

დისტანციურ სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 5 წევრი:

დავით მჭედლიშვილი

ვაჟა ლეჟავა

მერაბ სალუქვაძე

შოთა მამრიკიშვილი

შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის დავით მჭედლიშვილის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა მერაბ სალუქვაძის კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მერაბ სალუქვაძის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- ორგანიზატორის - შპს „სიმულექს რეისინგ“-ის მიერ „საქართველოს ჩემპიონატი ვირტუალურ წრიულ რბოლა“-ში წარმოდგენილი რეგლამენტის შესაბამისობა არსებული მოთხოვნების მიმართ ;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ვაჟა ლეჟავამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

„საქართველოს ჩემპიონატი ვირტუალურ წრიულ რბოლა“-ში წარმოდგენილი რეგლამენტის დამტკიცება ;

შპს „სიმულექს რეისინგ“-ს დირექტორის ბაქარ ჯიქიას მიერ წარმოდგენილი იქნა 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატის ვირტუალურ წრიულ რბოლაში ჩატარების წესები და რეგულაციები. აღნიშნულ რეგულაციაში ასევე აღნიშნულია, რომ სადავო საკითხების არსებობის შემთხვევაში მონაწილეებმა უნდა იხელმძღვანელონ „საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში“ არსებული რეგულაციებით, რომელიც ასევე წარმოდგენილი იქნა საბჭოს სხდომაზე. საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილი რეგულაციების შესაბამისობაზე შეჯიბრების სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით და მიაჩნია, რომ რეგულაციები სავსებით აკმაყოფილებს სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაამტკიცოს აღნიშნული რეგულაციები ხსენებული შეჯიბრებისთვის.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ვაჟა ლეჟავამ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სიმულექს რეისინგ“-ის მიერ „საქართველოს ჩემპიონატი ვირტუალურ წრიულ რბოლა“-ში წარმოდგენილი რეგლამენტის შესაბამისობა არსებული მოთხოვნების მიმართ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხი იქნა განხილული. სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: _____

ვაჟა ლეჟავა